**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები**
ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია
**Proceedings of Sokhumi State University**
Humanities and Socio-Political Sciences Series, ტომი/ Vol. XXI, 2023-2024 წელი

**გიორგი ლორია**[1]
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

https://doi.org/10.52340/sou.2023.21.38

# საქართველოში დასავლური საგანმანათლებლო იდეების გავრცელების ისტორიიდან (XX საუკუნის დასაწყისი)

**აბსტრაქტი.** XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ჟურნალ-გაზეთები ფართოდ აშუქებდნენ ქვეყნის საგანმანათლებლო ცხოვრებაში არსებულ ვითარებას, სწავლა-აღზრდის, სასკოლო სახელმძღვანელოების, მასწავლებელთა პროფესიული კადრების მომზადებისა და სხვა საკითხებს. განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებების, სწავლების პროგრესული თეორიებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაცია. გამოქვეყნებულია ჰერმან ვაიმერის, ჟან ჟაკ რუსოს, ოტო ლიპმანის, ფრიდრიხ ნიცშეს, ჰერბერტ სპენსერის, უილიამ ჯეიმსის, ჰაინრიხ პესტალოცის, იან ამოს კომენიუსის, კორნელიუს გურლიტის და სხვათა შეხედულებები, ევროპული და ამერიკული სასკოლო ცხოვრების მოწყობის, სწავლის მეთოდების, მასწავლებელთა პროფესიული გაერთიანებების, სკოლაში არსებული პრობლემების და მათი დაძლევის შესახებ სხვადასხვა წერილები.

საქართველოში დასავლური საგანმანათლებლო იდეების გავრცელებას ორი ფაქტორი უწყობდა ხელს: 1. XIX-XX სს. მიჯნაზე, რუსეთის დემოკრატიულ წრეებში ინტენსიურად გავრცელებული ევროპული საგანმანათლებლო შეხედულებები საქართველოზეც ახდენდა გავლენას; 2. ევროპაში განათლებამიღებული ახალგაზრდები სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული განათლების სისტემის განახლებაში და მრავალრიცხოვანი ჟურნალ-გაზეთების დახმარებით ცდილობდნენ მოწინავე ევროპული გამოცდილების გაზიარებას. ამ სახის პუბლიკაციებით გამოირჩეოდა საქართველოში ერთ-ერთი პირველი პროფესიული საგანმანათლე-

[1] **გიორგი ლორია,** სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

ბლო ჟურნალი„განათლება“, რომლის დამაარსებელი, გამომცემელი და რედაქტორი იყო ცნობილი საზოგადო მოღვაწე, სახალხო პედაგოგი ლუარსაბ ბოცვაძე.

ნაშრომში ისტორიულ-შედარებითი კვლევის საფუძველზე გაანალიზებულია ჟურნალ „განათლების“ საქმიანობა დასავლური საგანმანათლებლო და სამეცნიერო აზრის გავრცელების მხრივ. *კვლევის შედეგებმა* გვიჩვენა, რომ პუბლიკაციების დიდი ნაწილი ლუარსაბ ბოცვაძის და მისი თანამოაზრეების მიერ იყო თარგმნილი და ორიენტირებული იყო ქართულ საგანმანათლებლო ცხოვრებაში არსებულ საჭიროებებზე და მოწინავე ევროპული სასკოლო ცხოვრების გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე. კვლევამ დაადასტურა ჟურნალის გაცხადებული ძირითადი მიზნები და ამოცანები, პრიორიტეტული თემები და კონცეპტუალური საგანმანათლებლო ხედვები.

***საკვანძო სიტყვები:*** საქართველო, რუსეთის იმპერია, დასავლური საგანმანათლებლო იდეები, ჟურნალი „განათლება“, ჟურნალის კონცეფცია.

**Giorgi Loria**[2]
*Sokhumi State University*

## From the History of the Spread of Western Educational Ideas in Georgia (early 20th century)

**Abstract.** At the beginning of the 20th century, Georgian magazines and newspapers widely covered the current situation in the country's educational life, information on teaching and upbringing, school textbooks, the training of professional teachers, and other issues. At this time, the views of Hermann Weimer, Jean-Jacques Rousseau, Otto Lippmann, Friedrich Nietzsche, Herbert Spencer, William James, Heinrich Pestalozzi, Jan Amos Comenius, Cornelius Gurlitt, and others were published, as well as various letters about the organization of European and American school life, learning methods, teachers' professional associations, and problems existing in schools and their overcoming.

Two factors contributed to the spread of Western educational ideas in Georgia: 1. At the turn of the 19th and 20th centuries, European educational views, which were intensively spread in democratic circles in Russia, also influenced Georgia; 2. After returning to their homeland, young people educated in Europe actively participated in the renewal of the Georgian education system and, with the help of numerous magazines and newspapers, tried to share advanced European experience. One of the first professional educational journals in Georgia, „Education“, was distinguished by

[2] **Giorgi Loria.** Doctoral student of the PhD program in Georgian History at Sokhumi State University.

its publications about Western educational life, the founder, publisher and editor of which was the famous public figure, educator and public teacher Luarsab Botsvadze.

Based on the *historical-comparative research method* used by us, the work analyzes the activities of the journal „Education“ in the history of the spread of Western educational views. *The results* of the research showed that a large part of the publications were translated by Luarsab Botsvadze and his associates and were oriented towards the needs of Georgian educational life, the need to share the experience of advanced European school life. The research confirmed the stated main goals and objectives, priority topics and conceptual educational visions of the journal.

***Keywords:*** Georgia, Russian Empire, Western Educational Ideas, Magazine „Education“, Magazine Concept.

**შესავალი.** ევროპული საგანმანათლებლო იდეების გავრცელება საქართველოში, ჯერ კიდევ, XIX საუკუნეში იწყება. „საქართველოს მოამბე“ „ივერია“, „დროება“ და სხვა ჟურნალ - გაზეთები პოპულარიზაციას უწევდნენ ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებებს, მაგრამ იმპერიის კოლონიურ მარწუხებში მომწყვდეული ერი გაცილებით მეტ ინტერესს ნაციონალური იდენტობის მარკერების - საქართველოს ისტორიის, ძველი ქართული ლიტერატურის, კულტურის ძეგლებისა და სხვა სიძველეების მიმართ იჩენდა.

განათლების სფეროში, ერთ-ერთი პირველი პროფესიული ჟურნალი, რომელიც ევროპული საგანმანათლებლო იდეების გავრცელებით პოზიციონირებდა ჟურნალი „განათლება“ იყო, რომელიც XX საუკუნის დასაწყისში, 1908 წელს დაარსდა და მისი გამომცემელი და რედაქტორი იაკობ გოგებაშვილის მოწაფე, ლუარსაბ ბოცვაძე[3] იყო. ძირითადად, ამ ჟურნალის ფურცლებზე მი-

[3] ლუარსაბ ბოცვაძე დაიბადა ახლანდელი სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ნოღაში 1865 წლის 16 იანვარს (ახალი სტილით 4 იანვარს). მშობლებმა ლუარსაბი თავიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიაში მიაბარეს, შემდეგ ხონის საოსტატო სემინარიაში გადაიყვანეს, რომელიც 1888 წელს დაამთავრა და მუშაობა დაიწყო სოფელ წყალტუბოს სკოლის მასწავლებლად. 1891 წელს ლუარსაბ ბოცვაძე წყალტუბოდან ილია წინამძღვრისშვილის მიერ დაარსებულ წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში გადაიყვანეს მასწავლებლად, სადაც ერთი წელი დაჰყო, ხოლო 1892 წლიდან „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ კავკავში (ახლანდელი ვლადიკავკაზი, საბჭოთა ეპოქაში, 1954-1990 წლებში ერქვა ორჯონიკიძე, ხოლო 1944-1954 წლებში - ძაუჯიყაუ. გ.ლ) გახსნილ ქართულ სკოლაში გაგზავნეს მასწავლებლად. ლუარსაბი აქ ასწავლიდა ქართულ და რუსულ ენას, გალობას. 1897 წელს ილია ჭავჭავაძემ ლუარსაბ ბოცვაძეს მადლობა გამოუცახადა სამაგალითო გაკვეთილებისთვის. 1906 წელს, იაკობ გოგებაშვილის მხარდაჭერით ლუარსაბ ბოცვაძე თბილისის ქართულ გიმნაზიაში გადმოიყვანეს მასწავლებლად და ზედამხედველად. 1908 -1919 წლებში ლუარსაბ ბოცვაძე ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ ჟურნალ „განათლებას“ (ინფორმაცია ეფუძნება გა-

მდინარეობდა სასკოლო განათლების საჭირბოროტო დისკურსი, რომელშიც გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწეები მონაწილეობდნენ. „განათლებას“ გარს შემოკრებილი ჰყავდა საქართველოს გამოჩენილი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: აკაკი წერეთელი, ვაჟა ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი, ეროდიონ ევდოშვილი, თედო რაზიკაშვილი, ბაჩანა რაზიკაშვილი, ეკატერინე გაბაშვილი, ნიკო ლომოური, გიორგი ქუჩიშვილი, შიო მღვიმელი, ალექსანდრე ხახანაშვილი, ილია ნაკაშიძე, იპოლიტე ვართაგავა, გიორგი ლეონიძე, გალაკტიონ ტაბიძე  და სხვები (ჭკუასელი,1981), რაც საზოგადოებაში ჟურნალის ავტორიტეტსა და სანდოობაზე მიუთითებს.

„განათლების“ ისტორიაში, პირობითად ორი პერიოდი შეიძლება გამოვყოთ: *პირველი,* ლუარსაბ ბოცვაძის რედაქტორობის პერიოდი - 1908 – 1918 წწ. და *მეორე,* 1919 – 1920 წწ., როდესაც ჟურნალს სარედაქციო კოლეგიის სახელით ვარლამ ბურჯანაძე ხელმძღვანელობდა. ლუარსაბ ბოცვაძის რედაქტორობით ჟურნალის 95 ნომერი გამოქვეყნდა, თითოეულ ნომერში გამომცემელი ეროვნული განათლების ისტორიისა და მაშინდელი ქართული სასკოლო ცხოვრების პრობლემების გვერდით გვთავაზობდა ევროპელ, ამერიკელ და  რუს განმანათლებელთა შეხედულებებს სწავლა-აღზრდის საკითხებზე, სასკოლო ცხოვრების მოწყობის პრინციპებზე, სასკოლო საგნებზე, მასწავლებელთა პროფესიულ გაერთიანებებზე, სახელმძღვანელოებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ძირითადად, ეს იყო სხვადასხვა საგანმანათლებლო თეორიები და სასკოლო ცხოვრების პრობლემები, რომლებიც თარგმანების სახით ქვეყნდებოდა.

ჟურნალის პირველივე ნომერში გაცხადებული იყო მისი ეროვნული მრწამსი და სამეცნიერო პედაგოგიური მიმართულება, რაც ასახულია ლუარსაბ ბოცვაძის წერილებში „განათლება ძალაა“ (ბოცვაძე, $1908_1$: 1-15), „დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა“ (ბოცვაძე, $1908_2$: 57-80), ასევე ივანე გომელაურის[4] სტატიაში „პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავაძის თხზულებებში“ (გომელაური, 1908: 29-40). პირველი ორი წერილით რედაქტორმა ხაზი გაუს-

---

მოცემებს: ბოცვაძე, 2023: 5-41; ჭკუასელი, 1981). ლუარსაბ ბოცვაძე გარდაიცვალა 1919 წლის 24 ივნისს, დასაფლავებულია თბილისში, დიდუბის პანთეონში.

[4] ივანე გომელაური (1867 – 1951) ქართველი მწერალი, საზოგადო მოღვაწე, პედაგოგი და მთარგმნელი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი. სწავლობდა სიღნაღის საქალაქო სასწავლებლეში, 1886-1890 წლებში თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომლის დამთავრების შემდეგ,  მასწავლებლად მუშაობდა ოზურგეთის ზუგდიდის, სენაკის საქალაქო სკოლებში, თბილისის გიმნაზიაში, ჭიათურის სკოლაში და ა.შ. ივანე გომელაურს ეკუთვნის პირველი მეთოდური სახელმძღვანელო ქართულ ლიტერატურაში „სკოლებში შესასწავლი ქართველი მწერლები“, „ქართული ენის თვითმასწავლებელი“ (რუსულ ენაზე),  „ქრესტომათია არაქართველთათვის“ და სხვა. თარგმნა გერჰარტ ჰაუპტმანის, ანტონ ჩეხოვის, ვლადიმერ კოროლენკოს და სხვ. მწერალთა თარგმანები (ალანია, 2012: 91).

ვა ჟურნალის ძირითად მიზნებსა და ამოცანებს, პრიორიტეტებსა და კონცეფციას, ხოლო ივანე გომელაურის წერილით, ერთმნიშვნელოვნად ილია ჭავჭავაძის იდეოლოგიურ მემკვიდრედ გამოაცხადა თავი.

**დისკუსია.** ჟურნალის ინტერესი ევროპული საგანმანათლებლო სისტემისა და თეორიების გავრცელებისადმი პირველივე ნომერში გამოჩნდა. მკითხველს შესთავაზეს გერმანელი პედაგოგისა და ფსიქოლოგის ჰერმან ვაიმერის[5] პედაგოგიური შეხედულებები, რომლის თარგმანი ნიკო ლორთქიფანიძეს ეკუთვნის (ვაიმერი, 1908: 81-95). ვაიმერის თხზულება საქართველოში ევროპული პედაგოგიური აზრის გავრცელების ერთ-ერთი ნიმუშია და მიუთითებს ქართველთა განსაკუთრებულ დამოკიდებულებაზე გერმანული პედაგოგიური აზრისადმი. ჰერმან ვაიმერის წიგნი „პედაგოგიკის ისტორია“

---

[5] ჰერმან ვაიმერი Hermann Weimer (1872 – 1942) გერმანელი პედაგოგი და ფსიქოლოგი. სწავლობდა მარბურგის უნივერსიტეტში, იქვე მიიღო დოქტორის ხარისხი. 1902 წელს პირველად გამოაქვეყნა თავისი ნაშრომი „პედაგოგიკის ისტორია“, რომელიც შემდეგ 19-ჯერ გამოიცა. 1954 წლის შემდეგ რედაქტირებულია მისი ვაჟის, ჰაინც ვაიმერის, ხოლო 1991 წლიდან - ჯულიანე იაკობის მიერ. 1925 წელს მან წარმოადგინა ფსიქოლოგიური კვლევა მოსწავლეთა შეცდომების გამომწვევ მიზეზებზე, რითაც გახსნა ემპირიული ფსიქოლოგიის ახალი დარგი შეცდომების ფსიქოლოგია. მუშაობდა მასწავლებლად და დირექტორად სამხრეთ ჰესენში. 1912 წლიდან 1927 წლამდე ხელმძღვანელობდა გიმნაზიას ბიბრიხში, 1927 წელს დაინიშნა ფრანკფურტის ახლადდაარსებულ პედაგოგიურ აკადემიაში ლექტორად და პროფესორად პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის მიმართულებით. სამწუხაროდ, აქედან იწყება მისი პედაგოგიური შეხედულებების მოდერნიზაცია, რამაც ის საბოლოოდ ნაცისტურ პარტიაში, ხოლო შემდეგ ნაცისტურ პედაგოგიკამდე მიიყვანა. ვაიმერის მეტნაკლებად ცნობილი ნაშრომებია 1907 წელს გამოქვეყნებული „გზა მოსწავლის გულისკენ“, „სასკოლო დისციპლინა, სახელმძღვანელო საშუალო სკოლებისთვის“, გამოიცა 1919 წელს, ჩვენს მიერ ზემოთხსენებული წიგნი „შეცდომების ფსიქოლოგია“, 1925 წლისა, რასაც მოჰყვა კიდევ ერთი საინტერესო კვლევა „შეცდომების დამუშავება და შეცდომების შეფასება: დანართით: შეცდომების კვლევის ისტორია და საფუძვლები“, ესეც ლაიფციგში გამოიცა. 1939 წელს დიუსელდორფში გამოქვეყნდა ვაიმერის ნაშრომი „შეცდომების პრევენცია და შეცდომების თავიდან აცილება“. ვაიმერის ერთ-ერთი უახლოესი მოწაფე იყო *არტურ კისლინგი,* რომელიც ასევე ფრანკფურტში მოღვაწეობდა. ვაიმერი დაინტერესებული იყო მხოლოდ ადამიანების მიერ დაშვებული შეცდომებით და არა იმ შეცდომებით, რომლებიც, მაგალითად, მათი ხასიათისთვისაა დამახასიათებელი. ის ასევე განასხვავებდა მოტყუებას, შეცდომას და დანაშაულის გრძნობას. ეს უკანასკნელი არის „მოქმედება, რომელიც ავტორის ნების საწინააღმდეგოდ გადაუხვევს სისწორისკენ“ (ვაიმერი), რაც გამოწვეულია ფსიქოლოგიური ფუნქციების, ყურადღების, აზროვნების ან მეხსიერების დარღვევით. ამის აღიარებით, შესაძლებელია შეცდომების თავიდან აცილება, განსაკუთრებით სკოლაში. დიდი ხნის მანძილზე, ვაიმერის კვლევები არ იწვევდნენ ფართო ინტერესს, მაგრამ შემდეგ ვითარება შეიცვალა (ინფორმაცია მოძიებულია წიგნებიდან: Hesse, 1995:421, 821; Weingardt, 2004: 42-44). ჰერმან ვაიმერის ცხოვრებისა და სამეცნიერო შემოქმედების ისტორია ნათელი მაგალითია იმისა, რამდენად ცუდ როლს თამაშობს პოლიტიკური იდეოლოგია მეცნიერის პირად ცხოვრებასა და სამეცნიერო მემკვიდრეობის აღიარებაზე.

1902 წელს გამოქვეყნდა[6] ლაიფციგში და მას 1908 წელს უკვე იცნობდნენ საქართველოში. საგულისხმოა, რომ ვაიმერის ცნობილ „შეცდომის ფსიქოლოგიის“ თეორიას, რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნდა, სწორედ ამ ნაშრომით ჩაეყარა საფუძველი.

„პედაგოგიკის ისტორია“[7] ჟურნალის სამ ნომერში გამოქვეყნდა. პირველი ნომერი დაეთმო ნაშრომის შესავალს და პირველ თავს. შესავალში ავტორი მკითხველს არწმუნებს სწავლა - აღზრდის აუცილებლობაში, რომ ეს პროცესი ყველა კულტურულ ერში ვითარდებოდა  იმის მიხედვით, თუ როგორი ხასიათის (ფსიქიკის - გ.ლ.) იყო ეს ერი, ან საერთოდ, განათლების რომელ საფეხურზე იდგა ის.  პირველი თავში, ვაიმერი ხატოვნად აღწერს  ძველი საბერძნეთისა და რომის (კლასიკური ქვეყნები) სწავლა-განათლების ისტორიულ განვითარებას და დეტალურად განიხილავს ერთმანეთისგან განსხვავებულ ათენისა და სპარტის საგანმანათლებლო სისტემებს, სპარტელები მოზარდ თაობას ამზადებდნენ სახელმწიფოსთვის  და სახელმწიფოს საშუალებით, ხოლო ათენში ოჯახს მეტი უფლებები ჰქონდა ბავშვის აღზრდაში, ვიდრე სპარტაში. აქ სახელმწიფო ავალებდა მოქალაქეებს ბავშვის  ფიზიკურ განვითარებას (გიმნასტიკაში ვარჯიში) და მუსიკის სწავლებას. გიმნასტიკა და მუსიკა კი მთავარი საგნები იყო ბერძნული განათლებისა, თუმცა პერიკლეს დროდან, განათლებაში ლიტერატურის წინ წამოწევამ საბერძნეთში ფილოსოფიისა და რიტორიკის აყვავება გამოიწვია. ვაიმერი მკითხველს აცნობს სოფისტებს, სოკრატეს, არისტოტელეს, პლატონს,  ალექსანდრიელ მეცნიერებს და ბერძნულ საგანმანათლებლო სისტემაში გამოყოფს საფეხურებს: გრამატიკა რიტორიკა და დიალექტიკა, რაც ითვლებოდა განათლების საფუძვლად (შემდეგში ტრივიუმი), ხოლო არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა უმაღლესი განათლების სათავეს (შემდეგ ქვადრივიუმი) წარმოადგენდა (ვაიმერი, 1908:83-84). ძველი ბერძნული და რომაული საგანმანათლებლო სისტემის შესახებ ცოდნას ძველ საქართველოშიც ფლობდნენ, მაგრამ ვაიმერის ნაშრომში ეს ცოდნა გაცილებით ფართოდ, სისტემატიზირებული სახით არის წარმოდგენილი და გაანალიზებული.

რომაული განათლების მოკლე მიმოხილვის შემდეგ, ავტორი ქრონოლოგიურად მომდევნო ეპოქას განიხილავს.მეორე თავში, „სწავლის საქმის განვითარება საშუალო საუკუნეებში“, ორი ქვეთავია წარმოდგენილი: ჯვაროსანთა ომამდის, ჯვაროსანთა ომების ხანიდან საშუალო საუკუნეების დამლევამდე; მესამე თავი, „აღზრდა და სწავლება ჰუმანიზმის და რეფორმაციის ხანაში (XVI საუკუნის დამლევამდე), იწყება რეფორმაციის ეპოქით და გრძელდება ჰუმანიზმის საგანმანათლებლო აღორძინებით გერმანიაში, რასაც ვენაში,

[6] ვაიმერის ამ  ნაშრომის ბოლო პუბლიკაცია გამოქვეყნდა 1991 წელს.
[7] მთარგმნელი „პედაგოგიის ისტორიას“ უწოდებს.

ლაიფციგში, კიოლნში, ვიტენბერგში, მაინის ფრანკფურტსა და ერფურტში უნივერსიტეტების დაარსება მოჰყვა (ვაიმერი, 1908: 86 – 93).

ჟურნალის მესამე და მეოთხე ნომრები ერთ ტომად გამოქვეყნდა, სადაც გამოქვეყნებულია ვაიმერის წიგნის ის თავები, რომლებიც მოგვითხრობენ რეფორმატორთა საგანმანათლებლო შეხედულებებზე,როგორ აფასებდა მარტინ ლუთერი ჰუმანიზმს და სასკოლო განათლებას და ა. შ. ავტორის აზრით, სწორედ ამ დროს იწყება ძლიერი მისწრაფება მეცნიერების განთავისუფლებისა საეკლესიო რწმენისა და „სხოლასტიკური სისტემისაგან.“ მკითხველი ეცნობა იტალიური ჰუმანიზმის ფუძემდებლებს ფრანჩესკო პეტრარკას და ჯოვანი ბოკაჩოს, ასევე რომაული ანტიკური პედაგოგიკის კლასიკოსის მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს იდეებს, რომელსაც ჰუმანისტებთან გაცილებით მეტი დაფასება ჰქონდა, ვიდრე რომაულ ხანაში.

ვაიმერი განიხილავს პროტესტანტთა სკოლის სამართლებრივ საფუძვლებს მეთექვსმეტე საუკუნეში, კერძოდ, 1528 წლის საქსონიის სწავლა-განათლების წესდებას, ვიურტემბერგის 1559 წლის „სწავლის გეგმას“, რომელიც XVI საუკუნის ყველაზე უკეთ შემუშავებულ სასწავლო გეგმად მიაჩნია (ვაიმერი, 1908: 99-196). ვაიმერის ნაშრომით ქართველი მკითხველი პირველად გაეცნო შუა საუკუნეების ევროპული განათლების მდიდარი ისტორიის სხვადასხვა საფეხურს, ჰუმანიზმისა და აღორძინების ეპოქის იდეების მნიშვნელობას განათლების დაწინაურებაში, სამეცნიერო აზრის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, სწავლა - აღზრდის საქმეში საეკლესიო და საერო განათლების გამიჯვნის აუცილებლობაში. ბუნებრივია, ეს თემები უცნობი იყო ფართო საზოგადოებისთვის და ვაიმერის თხზულების თარგმანს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, არამარტო პედაგოგებისა და განათლების სპეციალისტების, არამედ ისტორიკოსების, ფილოლოგებისა და ზოგადად, წარსულით დაინტერესებული საზოგადოებისთვის.

ჟურნალის პირველივე ნომრებიდანვე ჩანს, რომ რედაქცია და ქართველ განმანათლებელთა დიდი ნაწილი თვლიდა, ქართულ სასკოლო განათლებაში ევროპული საგანმანათლებლო შეხედულებების ინტეგრაციისა და სასკოლო ცხოვრების პროგრესულ იდეებზე გამართვის აუცილებლობას. „განათლება“ დიდ ადგილს უთმობდა ევროპის მასწავლებელთა პროფესიულ გაერთიანებებს და იქ მიმდინარე ამბებს, მათ შორის აღწერილია ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მასწავლებელთა დემოკრატიული მოძრაობის საქმიანობა. ერთ-ერთი ავტორი მკითხველს მოუთხრობს, რომ 1871 წელს გერმანელ მასწავლებელთა თავგანწირული მეცადინეობით ჩამოყალიბდა „მასწავლებელთა კავშირი“[8], რომელიც ხელს უწყობდა მათ განათლებას, აწესრიგებდა

[8] ეს იყო გერმანიის მასწავლებელთა ასოციაცია, რომელიც დაარსდა 1871 წლის 28 დეკემბერს და 1933 წლამდე არსებობდა მასწავლებელთა ასოციაციების ნაციონალ-

სასწავლო პროცესს, იცავდა მათ უფლებებს და ა. შ. სარედაქციო კოლეგიის მიზანი იყო ქართველ მასწავლებლებს გაეცნოთ ამ „კავშირის“ მოკლე ისტორია და ორგანიზაცია იმ იმედით, რომ „ეგების ამ კავშირის დაარსების ისტორიაში ჩვენთვისაც რამ საგულისხმიერო და სახელმძღვანელო აზრები ამოვიკითხოთ“ (ყუმისთაველი, 1908: გვ. 88).

ჟურნალის რედაქცია იმავე ნომერში გვთავაზობს ბულგარეთის სახალხო მასწავლებლებისა და მათი კავშირის საქმიანობის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც ფსევდონიმით ხელს აწერს ლუარსაბ ბოცვაძე (ბოცვაძე, 1908$_3$: 96-108). წერილში მკითხველი ეცნობა ბულგარეთში არსებულ პოლიტიკურ ვითარებას 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ, ბულგარეთში სკოლებისა და მასწავლებლის რაოდენობას, მათი გაერთიანების ისტორიას, კავშირის მნიშვნელობას, როგორც განათლების განვითარების, ასევე ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ისევე, როგორც გერმანელ მასწავლებელთა კავშირის ისტორიის გადმოცემისას, აქაც ავტორთა მიზანი ერთია, ქართველ მასწავლებელთა შორის ერთმანეთის მიმართ სოლიდარობისა და მოვალეობის გრძნობა გააღვივოს საერთო ინტერესების დასაცავად. მსგავსი კავშირების მიზანი იყო მასწავლებელთა პროფესიული, ზნეობრივი, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება; მასწავლებელთა უფლებების დაცვა, როგორც სკოლაში, ასევე საზოგადოებაში; უსამართლოდ დევნილი მასწავლებლების მხარდაჭერა და დახმარების გაწევა; კავშირის ბიუჯეტის დაარსება ურთიერთმხარდაჭერის, ახალი სახელმძღვანელოების გამოცემის, მასწავლებელთა მხარდამჭერი გაზეთების, ჟურნალებისა და წიგნების გამოსაცემად; მასწავლებელთა კავშირების დაარსების ერთ-ერთი მიზანი იყო პედაგოგიური და სამეცნიერო ხასიათის ლექციების ჩატარება, ბიბლიოთეკების, სამკითხველოების გამართვა, საღამოს მეცადინეობებისა და საკვირაო სკოლების მოწყობა და ა. შ; მთავრობის მიერ სასკოლო განათლების ირგვლივ

---

სოციალისტურ მასწავლებელთა ლიგის ფარგლებში. იყო მასწავლებელთა ერთ-ერთი პირველი პროფესიული კავშირი. გერმანიის მასწავლებელთა ასოციაციის წინამორბედი იყო გერმანიის მასწავლებელთა საერთო ასოციაცია, რომელიც აიზენახში 1848 წელს დაარსდა და რომელიც ცდილობდა ყველა ტიპის სკოლის მასწავლებლის გაერთიანებას ეროვნულ-დემოკრატიული ეგიდით. თუმცა, გერმანიის მასწავლებელთა ასოციაციამ (DLV) 1871 წელს შეძლო მხოლოდ დაწყებითი სკოლის მასწავლებლების მოზიდვა წევრებად. XX საუკუნის დასაწყისისთვის, მთელი გერმანიის მასწავლებელთა ასოციაციები გაერთიანდნენ. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყებისას, DLV-ს 131,748 წევრი ჰყავდა, რაც დაწყებითი სკოლის ყველა მამაკაცი მასწავლებლის დაახლოებით სამ მეოთხედს წარმოადგენდა. ასოციაციის ოფიციალური ორგანო იყო „Pädagogische Zeitung“, რომელიც 1872 წელს დაარსდა, იგი 1848 წლიდან მასწავლებელთა მოძრაობის ორგანო იყო და მისი გამოცემა 1914 წელს შეწყდა, ხოლო 1919 წელს მიიღო Allgemeine Deutsche Lehrerzeitung-ის სახელწოდება, (დეტალურად იხილეთ წიგნში: Rainer Bölling 1978).

გამოცემული კანონებისა და განკარგულებების განხილვა და ა. შ (ბოცვაძე, $2008_{3:}$ 107).

ბულგარეთის მასწავლებელთა კავშირი აღიარებდა, რომ ის იყო უპარტიო, დამოუკიდებელ მასწავლებელთა კორპორაცია, რომელიც მიზნის მისაღწევად ეწევა არამარტო კულტურულ, არამედ პოლიტიკურ ბრძოლას და იცავდა კონსტიტუციურ წყობილებას, გმობდა სამინისტროს თვითნებობას. კავშირი მოითხოვდა სარწმუნოების სრულიად განდევნას სკოლიდან და აცხადებდა რომ ზნეობრივი აღზრდა არ უნდა იყოს დამოკიდებული სარწმუნოების სწავლებაზე (ბოცვაძე, $2008_3$: 105-107). ბულგარელ მასწავლებელთა კავშირის მაგალითზე, ლუარსაბ ბოცვაძე თავის თანამედროვე მასწავლებლებს მოუწოდებდა, ჩამოეყალიბებინათ მასწავლებელთა ეროვნული კავშირი, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის საკეთილდღეოდ მასწავლებელთა გაერთიანებას. გერმანელ და ბულგარელ მასწავლებელთა პრაქტიკის გაზიარება იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკით შეწუხებული ქართველი პედაგოგებისთვის მრავლისმეტყველი გამოცდილება იყო. საგულისხმოა, რომ ამ დროს საქართველოში უკვე არსებობდა მასწავლებელთა მსგავსი გაერთიანებების ჩანასახი, რაც მაშინდელი პრესის ფურცლებიდან ჩანს.

საინტერესო პრაქტიკა დაამკვიდრა ჟურნალმა, როცა თავის ფურცლებზე ცალკეული საგნების სწავლების ან მათი განვითარების ისტორიის გამოქვეყნება დაიწყო. მაგ. „განათლების“ მე-2 და მე-3 ნომრებში ორ ნაწილად გამოქვეყნდა სამუელ ცომაიას „ასტრონომია, ანუ ვარსკვლავთმრიცხველობა - კოპერნიკიდან (1473-1543) ნიუტონით (1642-1727)წ“ (ცომაია, $1908_1$, N2: 46-59; $1908_2$, N3-4: 22-40). წერილი ხელი უწყობდა არამარტო ევროპული ასტრონომიული მეცნიერების ისტორიისა და ცოდნის გაცნობას, არამედ ფიზიკის ისტორიაში არსებული ცოდნის გავრცელებას საქართველოში.[9] ნიკოლაი კოპერნიკმა საბოლოოდ დაამსხვრია ძველი შეხედულებები სამყაროზე და დედამიწას სამყაროში თავისი ადგილი დაუმკვიდრა. მან წამოაყენა ჰელიოცენტრული თეორია, რომელიც თანამედროვე ასტრონომიის საფუძველია, სწორად განსაზღვრა პლანეტათა ორბიტების თანმიმდევრობა და პირველმა ასტრონომიის ისტორიაში შეძლო განესაზღვრა მათი შეფარდებითი მანძილები. „კოპერნიკისეულმა რევოლუციურმა“ გადატრიალებამ შეცვალა წარმოდგენები სამყაროზე, ხოლო ისააკ ნიუტონმა მსოფლიო მიზიდულობის კანონის აღმოჩენით ჩამოაყალიბა დედამიწისა და პლანეტების მოძრაობის მმა-

[9] ბუნებრივია, ქართული საზოგადოებისთვის ეს არ იყო პირველი ინფორმაცია ვარსკვლავთრიცხველობის, ასტრონომიის, კოპერნიკისა და ნიუტონის შესახებ, (ცნობილია რომ ვარსკვლავთრიცხველობა და ასტრონომია ძველ საქართველოშიც განვითარებული იყო, კოპერნიკზე და ნიუტონზეც უკვე XVIII საუკუნის პირველი ნახევრიდან არსებობდა ცნობები), მაგრამ სამუელ ცომაიას მიერ თარგმნილი მასალაში დეტალურადაა აღწერილი ასტრონომიის დარგში ორივე მეცნიერის დამსახურება.

რთველ ძალთა შესახებ ბუნების კანონთა მთელი წყება, დაამტკიცა, რომ ციური სხეულები ორბიტებზე მოძრაობენ და ა. შ. ერთი სიტყვით, მან პირველმა შეძლო მეცნიერულად დაედგინა და დაესაბუთებინა არსებული სამყაროს სისტემა. ის იყო გენიალური მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფილოსოფოსი, თეოლოგი, და ალქიმიკოსიც. ბუნებრივია, კოპერნიკისა და ნიუტონის იდეები დიდი ხნის ცნობილი იყო საქართველოში, მაგრამ სამუელ ცომაიას წერილი, არა მხოლოდ მათ ეხება, ის მიმოიხილავს კოპერნიკის მიერ პტოლემაიოსის სისტემის უარყოფიდან, ნიუტონის ჩათვლით ცნობილ მოაზროვნეთა ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის, იოჰანეს კეპლერის, ტიხო ბრაჰეს, უილიამ და კაროლინა გერშელების, ისააკ ნიუტონის და სხვათა შეხედულებებს. ნაშრომს ახლავს სქოლიო, რომელიც თანმიმდევრობით მიყვება ტექსტს, სადაც ავტორი მკითხველისთვის სპეციალურ განმარტებებს აკეთებს. ბუნებრივია, სტატია დასავლური საგანმანათლებლო და სამეცნიერო აზრის გავრცელების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორი უნდა გამხდარიყო.

ჟურნალის მე-3 ნომერში რედაქციამ მკითხველს იმ დროისთვის პოპულარული ფრანგი ფილოსოფოსის, მრავალმხრივ ნიჭიერი განმანათლებლისა და კომპოზიტორის, ჟან-ჟაკ რუსოს[10] ნაშრომის „საზოგადოებრივი ხელშეკრულება“ (რუსო, 1908: 41-76), მოკლე მიმოხილვა შესთავაზა. წერილი თარგმნილია ა.მ.-ს მიერ (სამწუხაროდ, ფსევდონიმი არ არის იდენტიფიცირებული - გ.ლ). მისი ავტორი კარგად იცნობს ფრანგი განმანათლებლების ისტორიას, მათ შეხედულებებს, განსაკუთრებით რუსოს რევოლუციურ ბუნებას და დამოკიდებულებას მისი ეპოქის სახელმწიფოებისადმი, რომელიც წერილის რვა თავში არის აღწერილი და ცდილობს რუსოს იდეების პროგრესულობა მკითხველს დაუსაბუთოს. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პოპულარულ ენაზე დაწერილი რუსოს შეხედულებების მოკლე ანალიზი, რომელშიც რუსოს თეორიის ძირითადი დეტალებია გადმოცემული. ავტორის აზრით, ის იყო წინამორბედი იმ ცვლილებებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთის პირველი რევოლუციის დროს, 1789 წელს. სამართლიანად ამბობენ, რომ რუსომ შექმნა ისეთი განწყობლება, რომელიც უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის წარმატებას (რუსო, 1908: 76).

ჟურნალის იმავე ნომერში ლუარსაბ ბოცვაძე გვთავაზობს პრუსიაში პოლონური სკოლის ტრაგიკულ ისტორიას, აღწერილია პოლონელი ბავშვების მძიმე მდგომარეობა, როდესაც სწავლა პოლონელთათვის სრულიად უცხო ენაზე მიმდინარეობდა. ეს ისტორია განსაკუთრებით მტკივნეული იყო ქართ-

[10] ჟან ჟაკ რუსოს (1712 -1772) ტრაქტატი „ საზოგადოებრივი ხელშეკრულება ანუ პოლიტიკური სამართლის პრინციპები“ გამოქვეყნდა 1762 წელს (იხილეთ რუსოს ბიოგრაფიაზე და და მის შრომებზე მოკლე მიმოხილვა (Delaney, IEP).

ული საზოგადოებისთვის, რადგან რუსეთის იმპერიაში ქართული სკოლებიც იმავე მდგომარეობაში იყვნენ. წერილი ეკუთვნის ადამ ჰელლერს შტეინიდან და, როგორც ჩანს, დაბეჭდილი ოყო ჟურნალ „Die Gegenwart“ -ში, რუსულად თარგმნა მ. უსპენსკიმ და დაბეჭდა 1906 წელს „русская школа“-ს მეთორმეტე ნომერში, საიდანაც ჟურნალმა „განათლებამ“ თარგმნა. აქ აუცილებლად უნდა აღინიშნოს, ჟურნალის აკადემიური კეთილსინდისიერება და ეთიკური დამოკიდებულება ინტელექტუალური საკუთრების მიმართ. ჟურნალი ყოველთვის ზუსტად მიუთითებს რომელი ენიდან, ან ვის მიერ არის თარგმნილი გამოქვეყნებული და გამოყენებული მასალა, ავტორები განმარტებებს აკეთებენ სქოლიოში და ცდილობენ დაასაბუთონ საკუთარი მოსაზრებები, საჭიროების შემთხვევაში მასალა წარმოდგენილია შესაბამისი სურათებით, გამოსახულებებითა და ილუსტრაციებით, რაც მკითხველს ტექსტის უკეთ გაგება - გააზრებაში ეხმარება.[11]

მომდევნო ნომრებში ჟურნალი მკითხველს დასავლურ საგანმანათლებლო ცხოვრებაში იმ დროს პოპულარულ თეორიებს აცნობს, მაგალითად იტალიელი პედაგოგის, მეცნიერისა და ჰუმანისტის მარია მონტესორის კონცეფციას, მისი სისტემის საბავშვო ბაღის პრაქტიკულ გამოცდილებას იტალიური საბავშვო ბაღის მაგალითზე. წერილს ახლავს ფსევდონიმი ნ. ბ-ძისა,[12] (ბოცვაძე, 1912, N6:447- 464).

ჟურნალ „განათლების“ 1911 წლის მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და 1912 წლის მეორე, მესამე და მეოთხე ნომრებში გამოქვეყნდა ცნობილი ამერიკელი ფსიქოლოგის უილიამ ჯეიმსის[13]ნაშრომი „საუბარი ფსიქოლოგიაზე“, თარგმანის ავტორი წარმოდგენილია ფსევდონიმით დ.ო-ძისა, რაც იდენტიფი-

---

[11] აკადემიური კეთილსინდისიერების მსგავსი ნორმები XIX საუკუნის ქართულ ჟურნალებშიც გვხვდება, მაგრამ „განათლება“ ცდილობს იმ ეპოქის პროგრესულ ჟურნალებში მიღებული სტანდარტი დაამკვიდროს.

[12] ნ. ბ-ძისა, ბოცვაძე ნინო (1883 – 1971 ), ლუარსაბ ბოცვაძის მეუღლე, პედაგოგი, მწერალი და ჟურნალისტი. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ნინო იოსების ასული ბაქრაძე, გარდა ჟურნალ „განათლებისა“ თანამშრომლობდა საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ და გაზეთ „კვალის“ რედაქციებთან (მიქაძე, 1984: 67;114).

[13] უილიამ ჯეიმსი (1842 – 1910), ამერიკელი ფილოსოფოსი და ფსიქოლოგი. პირველი პედაგოგი, რომელმაც ფსიქოლოგიის კურსი შესთავაზა შეერთებული შტატების საგანმანათლებლო სისტემას, იგი ითვლება XIX-XX სს. მიჯნის ერთ-ერთ წამყვან მოაზროვნედ და ყველაზე გავლენიან ფილოსოფოსად. ხშირად მას „ამერიკული ფსიქოლოგიის მამას“ უწოდებენ. ჯეიმსის ყველაზე ცნობილ წიგნებს შორისაა „ფსიქოლოგიის პრინციპები“, „ესეები რადიკალურ ემპირიზმზე“ და „რელიგიური გამოცდილების მრავალფეროვნება“, რომელშიც რელიგიური გამოცდილების სხვადასხვა ფორმები შეისწავლა და ა. შ. (ინფორმაცია ეყრდნობა Encyclopedia Britannica, William James), (ვრცლად იხილეთ: Horace M. Kallen,1925).

ცირებულია მკვლევართა მიერ და ეკუთვნის იმ დროისთვის ცნობილ მწერალს, სახალხო მასწავლებელსა და პედაგოგს დომენტი ოყრეშიძეს.[14]

უილიამ ჯეიმსი ცნობილ ამერიკელ ფილოსოფოსებთან ჯონ დიუისთან, ჩარლზ პირსთან და სხვებთან ერთად იყო მეტაფიზიკური კლუბის წევრი. მათთან ერთად ითვლება პრაგმატიზმის და ფუნქციონალიზმის ერთ-ერთ დამფუძნებლად. მისი შრომები აქტიურად არის გამოყენებული პედაგოგიურ მეცნიერებებშიც, შესაბამისად, ჟურნალში წარმოდგენილ მასალაში მოკლედ მიმოხილულია ჯეიმის მიერ შესწავლილი ისეთი ფილოსოფიური კატეგორიები, როგორიცაა ინტერესი, ყურადღება, მეხსიერება, ჩვევა, ინსტინქტი, ემოციები და სხვა (ჯეიმსი, 1911, 4,5,6; ჯეიმსი 1912, 2,3,4;). უილიამ ჯეიმსი თავის ერთ-ერთ მთავარ ნაშრომში „ფილოსოფიის პრინციპები“, ამ კატეგორიების გარდა, განიხილავს დროის აღქმას, გონების ურთიერთობას სხვა საგნებთან, აზროვნების ნაკადს, თვითცნობიერებას, კონცეფციას, დისკრიმინაციას და შედარებას, ასოციაციას, ნებას, აუცილებელ ჭეშმარიტებასა და გამოცდილების ეფექტებს და ა. შ (Horace M. Kallen,1925: 371).[15]ამ ფილოსოფიურ კატეგორიებზე ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყეს მსჯელობა, მათ ფართოდ განიხილავს და სწავლობს ისეთი დისციპლინები, როგორიცაა ფილოსოფია, ფსიქოლოგია, მედიცინა და, რა თქმა უნდა, იკვლევს პედაგოგიური მეცნიერებაც.

უილიამ ჯეიმსის, ერთ-ერთი უდიდესი ამერიკელი ფსიქოლოგისა და ფილოსოფოსის ნაშრომით დაინტერესება, მისი თარგმანი და პუბლიკაცია, XX საუკუნის დასაწყისის ქართული საზოგადოების მაღალი მოთხოვნებისა და

---

[14] დომენტი ოყრეშიძე (1876 – 1952 ) - მწერალი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. 1898 წლიდან მუშაობდა სამეგრელოსა და ქვემო იმერეთში ქართველთა შორის წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სკოლებში, 1911 წლიდან ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში. თანამშრომლობდა გაზეთებში: „ივერია“, „ახალი დროება“, „სახალხო გაზეთი“, „ისარი“, „ამირანი“, ჟურნალ „განათლებასთან“ და სხვ. რუსეთის იმპერიის საგანმანათლებლო პოლიტიკის გამო იდევნებოდა, მიუხედავად ამისა ქართული გიმნაზიის მასწავლებელი დაუღალავად იღწვოდა, ახალგაზრდებში ეპოქის მოწინავე იდეეების დასანარგად. აქვეყნებდა ფსევდონიმებით: „დ. თომაშვილი“, „დ. მთაგორელი“, დ. ჭოლეველი“ (ინფორმაცია დამოწმებულია წიგნიდან სახალხო განათლების..., 1955: 373), „დ.ო-ძისა“ (ინფორმაცია დამოწმებულია მიქაძე, 1961. 112). ფსევდონიმი „დ.ო-ძისა“ ნამდვილად დომენტი ოყრეშიძეს რომ ეკუთვნის დასტურდება კიდევ ერთი არგუმენტით, ჟურნალ „განათლების“ ფურცლებზე ხშირად ვხვდებით ლექსებს ფსევდონიმით „დ. თომაშვილი“, რაც დომენტო ოყრეშიძის ერთ-ერთი ფსევდონიმია. როგორც ჩანს, ავტორი მჭიდროდ თანამშრომლობდა ჟურნალის რედაქციასთან.

[15] სავარაუდოდ, მთარგმნელს გამოყენებული აქვს უილიამ ჯეიმსის ნაშრომი „ფილოსოფიის პრინციპები“, რომელიც 1891 წელს გამოქვეყნდა (Horace M. Kallen,1925: 371) და რომლის შინაარსის მოკლე მიმოხილვას უნდა წარმოადგენდეს დ. ოყრეშიძის თარგმანი.

ქართული საზოგადოებრივი აზრის  განვითარების მაღალ სტანდარტებზე მიუთითებს.

**დასკვნა.** ჟურნალი „განათლება“აქვეყნებდა ცნობილი განმანათლებლების, ფსიქოლოგების, სოციოლოგებისა და ფილოსოფოსების  ვოლტერისა და ჟან ბატისტ ფურიეს, ალექსანდრ გერცენის, ოტო ლიპმანის, ფრიდრიხ ნიცშეს ჰერბერტ სპენსერის არტურ ლაისტის, ჰერმან გენკელის შეხედულებებსა და იდეებს. ბუნებრივია, ყველა მათგანს ერთ სტატიაში ვერ განვიხილავთ, მაგრამ ეს მასალა საკმარისია დასკვნებისა და შეფასებისთვის.

ევროპული საგანმანათლებლო იდეებისა და პედაგოგიური შეხედულებების გარდა ჟურნალი ცალკე ადგილს უთმობდა წვრილ-წვრილ ამბებს უცხოეთიდან, ამისთვის გამოყოფილი იყო  რუბრიკა - *უცხოეთის მიმოხილვა.* „განათლების“ პირველივე ნომერში შემოთავაზებულია მრავალფეროვანი თემები: წერა-კითხვის უმეცარნი ბელგიაში“, „მანიფესტაცია სავალდებულო სწავლების შესახებ“, „განათლება  და ზნეობრივი აღზრდა იაპონიაში“, „საფრანგეთის მასწავლებელთა მონაწილეობა სკოლების მართვა გამგეობაში“, „სტატისტიკური ცნობები სწავლა-განათლებისა უცხოეთში“ (ბოცვაძე, 1908[5]: 161-182). მეორე ნომრის *უცხოეთის მიმოხილვაში* ლუარსაბ ბოცვაძე აფართოებს ინფორმაციას და მკითხველს აწვდის მაშინდელი ქართული სასკოლო ცხოვრებისთვის მნიშვნელოვან ამბებს საფრანგეთიდან, ინგლისიდან, შვეიცარიიდან, ნორვეგიიდან და ა. შ.:„ფრანგების მასწავლებლები ქალვაჟთა ერთად სწავლების საკითხის შესახებ“, „ნორვეგიის მასწავლებელთა კავშირი“, „პარიზის დასაწყისი სკოლები“, „ახალი სკოლა ჟენავაში“, „ბრძოლა ინგლისში სასულიერო და საერო მთავრობათა შორის სკოლების შესახებ“, „საშუალო სკოლის რეფორმა ავსტრიაში“, „თამბაქოს წევის მავნებლობა მოწაფეთა შორის“ (ბოცვაძე, 1908[4]: 159-164). *უცხოეთის ამბების* რუბრიკისთვის შერჩეული თემები, რომლებიც ქართველი მკითხველისთვისაა თარგმნილი პრობლემური იყო ქართული სკოლებისა და პედაგოგიური საზოგადოებისთვის, თითოეული ინფორმაცია ერთგვარ გზამკვლევის როლს ასრულებდა ქართველი მასწავლებლების მომავალი საქმიანობის გზაზე.  როგორც ჩანს, ჟურნალის ეს ნაწილი განსაკუთრებით შრომატევადი და მძიმე იყო რედაქტორისთვის და დაკავშირებული იყო უცხოეთის საგანმანათებლო ამბების მოძიების, თარგმნისა და რედაქტირების პრობლემებთან, რაც დიდ დროს და ენერგიას მოითხოვდა. ეს იყო კოლოსალური სამუშაო, შესრულებული ლუარსაბ ბოცვაძისა და მისი თანამოაზრეების მიერ ქართული საზოგადოებრივი აზრის  დაკვეთით.

ჟურნალის მიზნები, ამოცანები და სარედაქციო კონცეფცია  გაცხადებულია ლუარსაბ ბოცვაძის სიტყვებში: „ჩვენს ჟურნალს არა აქვს ვიწრო სპეციალური ხასიათი, თუ ჟურნალში ცოტად თუ ბევრად სჭარბობს პედაგოგიური ელემენტი, ამას მოითხოვს არა მარტო დღევანდელი ცხოვრება, ამას ღაღა-

დებდნენ ამ 35 წლის წინადაც, როცა ჩვენში გაიხსნა ახალი სკოლები და იმ დღიდანვე გაზეთებში აღნიშნავდნენ პედაგოგიური ჟურნალის აუცილებლობას. საერთოდ, კი ჩვენი ჟურნალი ისეთ მასალას იძლევა, რომ იშვიათი მკითხველი იქნება, რომელმაც ვერ იპოვოს შიგ ისეთი რამე, რაც მისთვის მაინც საინტერესო არ იყოს, ხოლო პედაგოგიური საკითხები დღევანდელ პირობებში ისეთს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ მისი გაცნობა, საქმეში გამოყენება და ცხოვრებაში საღი აზრის გატარება საჭიროა არამარტო სპეციალისტებისათვის, არამედ მშობლების საზოგადოებისა, კერძო პირთათვის, ვინც კი ცდილობს დაიცვას გადაგვარებისაგან ჩვენი ერის მომავალი“ (ბოცვაძე, 1911: 2).

წინამდებარე მოკლე მომიხილვა შესრულებულია მხოლოდ ჟურნალ „განათლების“ ქეისის საფუძველზე, მიუხედავად ამისა, იგი გვიჩვენებს ამ პერიოდის საქართველოში დასავლური საგანმანათლებლო იდეების გავრცელების მზარდ ტენდენციას, საზოგადოების ინტერესსა და მასალების მრავალფეროვნებას, შესაბამისად შეიძლება შემდეგი დასკვნები და შეფასებები გავაკეთოთ: 1.პუბლიკაციების დიდი ნაწილი ლუარსაბ ბოცვაძის და მისი თანამოაზრეების მიერ პირდაპირ ორიგინალიდან იყო თარგმნილი, რაც იმპერიული პოლიტიკის პირობებში ქართველი ერის კულტურულ ცხოვრებაში ორიგინალიდან თარგმნის ძველი ტრადიციის აღორძინებას და ორიგინალთან მიახლოებული ტექსტების პუბლიკაციას უწყობდა ხელს; 2. დასავლური საგანმანთლებლო და სამეცნიერო იდეების თარგმნა ორიენტირებული იყო ქართულ საგანმანათლებლო ცხოვრებაში არსებულ საჭიროებებსა და მოწინავე ევროპული სასკოლო ცხოვრების გამოცდილების გაზიარების აუცილებლობაზე; 3. ჟურნალი გათვლილი იყო ქართული საზოგადოების ყველა ფენისთვის, შესაბამისად, დასავლური საგანმანათლებლო იდეებისა და სამეცნიერო აზრის გავრცელება სოციალური დაკვეთა იყო, რაც საზოგადოების ინტელექტუალური მოთხოვნებისა და საზოგადოებრივი აზროვნების მაღალი სტანდარტების მაჩვენებელი იყო;

**გამოყენებული ლიტერატურა:**


ალანია (2012) ივანე გომართელი. ენციკლოპედია „საქართველო“, ტ. 2. მთავარი რედაქტორი ზურაბ აბაშიძე. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია. სტამბა შპს „საქართველოს მაცნე“ თბილისი;

ბოცვაძე ($1908_1$) ლუარსაბ ბოცვაძე. განათლება ძალაა, ჟურნალი „განათლება“, 1908, N1. გვ. 1-15;

ბოცვაძე ($1908_2$) ლუარსაბ ბოცვაძე. დედა ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა, ჟურნალი „განათლება“, 1908, N1. გვ. 57-80;

ბოცვაძე (1908$_3$) ლ.ბ-ძისა (ლუარსაბ ბოცვაძე). ბულგარია, სახალხო მასწავ-ლებლები და მათი კავშირი. ჟურნალი „განათლება“, 1908, N1. გვ. 96-108.
ბოცვაძე (1908$_4$) უცხოეთის მიმოხილვა. ლას ბანისა, ლუარსაბ ბოცვაძის ფსე-ვდონიმი. ჟურნალი განათლება, 1908. N2. გვ. 159-164.
ბოცვაძე (1908$_5$) ლუარსაბ ბოცვაძე. უცხოეთის ამბები, 1908, N1. გვ. 161-170;
ბოცვაძე (1911) ლუარსაბ ბოცვაძე. რედაქციისგან,„განათლება“, 1911, N1. 1-3;
ბოცვაძე (2023) ზურაბ ბოცვაძე. ლუარსაბ ბოცვაძე. შესავალი წერილი ლუარ-საბ ბოცვაძის თხზულებათა პირველ ტომში, თბილისი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
გომელაური (1908) ივანე გომელაური. „პედაგოგიური აზრები ილია ჭავჭავა-ძის თხზულებებში, ჟურნალი „განათლება“, 1908, N1. გვ. 29-40;
ვაიმერი (1908) პედაგოგიის ისტორის დ-რ ვაიმერისა თარგმანი გერმანული-დან ნ. ლორთქიფანიძისა, ჟურნალი „განათლება“, 1908, N1. გვ. 81-95.
მიქაძე (1984) გივი მიქაძე. ფსევდონიმების ლექსიკონი. თბილისი, გამომცე-მლობა „მეცნიერება“;
მიქაძე (1961) მიქაძე, გ. ქართული ფსევდონიმების ლექსიკონი, გ. ლეონიძის სახ. ლიტერატურის მუზეუმი. ხელნაწერი. ინფორმაცია ხელმისაწვდო-მიაhttp://www.nplg.gov.g-e/gwdict/index.php?a=te-rm&d=2&t=29148
სახალხო განათლების... (1955) სახალხო განათლების ქართველი მოღვაწეე-ბი და სახალხო მასწავლებლები, კრ. 2. ვ. ქაჯაიას რედაქტორობით. სა-მეცნიერო მეთოთოდური კაბინეტის გამომცემლობა;
რუსო (1908) ჟ.ჟ. რუსო მისი მოძღვრება და მნიშვნელობა მე-XVIII საუკუნეში, Contrat social (საზოგადოებრივი ხელშეკრულება) და სხვ. ჟურნალი, „გა-ნათლება“, 1908, N 3-4. გვ. 41-76;
ყუმისთაველი (1908) გერმანიის მასწავლებელთა კავშირი, ა. ყუმისთაველი-სა, ჟურნალი „განათლება“, N1. გვ. 87-95;
ცომაია (1908$_1$) ასტრონომია, ანუ ვარსკვლავთმრიცხველობა - კოპერნიკიდან (1473-1543) ნიუტონით (1642-1727)წ. ს. ცომაიასი. ჟურნალი „განათლე-ბა“, 1908, N2. გვ. 46-59.
ცომაია (1908$_2$) ასტრონომია, ანუ ვარსკვლავთმრიცხველობა - კოპერნიკიდან (1473-1543) ნიუტონით (1642-1727)წ. ს. ცომაიასი. ჟურნალი „განათლე-ბა“,1908$_2$, N3-4: გვ. 22-40).
ჭკუასელი (1981) ივანე ჭკუასელი, ჟურნალი „განათლება“ და მისი ადგილი ქა-რთული პედაგოგიკური აზროვნების განვითარებაში. თბილისი, გამომ-ცემლობა „განათლება“;
ჯეიმსი (1911) უილიამ ჯეიმსი. საუბრები ფსიქოლოგიაზე, ჟურნალი „განათ-ლება“, 1911, N4,5,6;
ჯეიმსი (1912) უილიამ ჯეიმსი. საუბრები ფსიქოლოგიაზე, ჟურნალი „განათ-ლება“, 1912, N 2,3,4;

Delaney, (IEP) James J. Delaney.Jean-Jacques Rousseau (1712 -1778),Niagara University USA.ხელმისაწვდომია საიტზე: https://iep.utm.edu/rousseau/#H4

Encyclopedia Britannica, William James**.** American psychologist and philosopher, Written by Horace M. Kallen, ხელმისაწვდომია https://www.br-itannica.-com/biography/William-James

Hesse (1995) Die Professoren und Dozenten der preussischen Pädagogischen Akademien (1926-1933) und Hochschulen für Lehrerbildung (1933-1941). Deutscher Studien Verlag, 1995 - 828 Seiten ხელმისაწვდომია საიტზეhttps://boo-ks.google.de/books?id=fpQrAQAAIAAJ&q=Hermann+Weimer ვეიმარი

Horace M. Kallen (1925) Horace M. Kallen, The Philosophy of William James Drawn from his own Works, The Modern Library, New York, ხელმისაწვდომიასაიტზე. https://ia801302.us.archive.org/15/items/philosophyofwill00jame-/philosophyofwill00jame.pdf

Weingardt (2004) Martin Weingardt: Fehler zeichnen uns aus: transdisziplinäre Grundlagen zur Theorie und Produktivität des Fehlers in Schule und Arbeitswelt. Klinkhardt, Bad Heilbrunn 2004 (bes. S. 42–44);

Rainer Bölling (1978) Rainer Bölling. Volksschullehrer und Politik Der Deutsche Lehrerverein 1918–1933, Kritische Studien zur Geschichtswissenschaft Band 32, Herausgegeben von Helmut Berding, Jürgen Kocka, Hans-Ulrich Wehler, Göttingen. ხელმისაწვდომია საიტზე https://download.e-bookshelf.de/download/0003/8990/78/L-G-0003899078-0002337359.pdf